# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 152
წელიწადი მეორე
1913
ოთხშაბათი, 25 სეჭტემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

იმერეთი

| | | |
|---|---|---|
| გაზეთის ფასი: | ერთი წლით . . . | 7 მანეთი, |
| | ნახევარი წლით . . . | 4 მანეთი. |
| | ერთი თვით. . . . | 4 აბაზი. |
| | და ცალკე ნუმრის . . . | 1 შაური, |

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.
გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"
სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

„იმერეთის" რედაქცია ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხუთშაბათს, 26 სეკტემბერს დაუვიწყარი

## არჩილ ჯორჯაძის

გადაცვალებიდან ექვსი თვის თავზე, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი.

ქუთაისელი ამხანაგები და მეგობრები ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას დაუვიწყარი

## გიგა ჯუღელის

უდროვოთ გადაცვალებას ირკუტსკის გუბერნიაში. პანაშვიდი იქნება გადახდილი კვირას 29 სეკტემბერს, დღის 12 საათზე ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში.

სოლომონ ვასილის ძე ფარქოსაძე და მეუღლე მისი მატრონა რომანოზის ასული ფარქოსაძისა შვილებითა და რძლით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელი შვილის

## ვასიას

გადაცვალებას. მიცვალებულის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება დ. საჩხერეში, ფერისცვ. ტაძრის გალავანში სამშაბათს, 24 სეკტემბერს.

## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

...ო მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარე... საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება 20 სე...თვიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შე...ბაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ...ათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტუმი 5 მან. ...წყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშე... ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის ...ულები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ...რმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალ...არი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, რუბა...ები და სარუბაშკეები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების, ...დიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რე...ები, ყოველნაირი რეზინა საპადვიოსკე და აგრეთვე მზა პადვიოსკები ქალთა ... ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ
...ვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი ...ალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ...წვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ. პატივისცემით ს. ახვლედიანი.

...ქვარიანის წიგნი „შოთა რუსთაველი და მისი პოემის" გამოცემა ...დამოუკიდებელ მიზეზების გამო დაგვიანდა რის გამო ბოდიშს ვიხდით. ... გარდა ვსთხოვ აგენტებს ხელის მომწერთა ფული გამოაგზავნონ. წიგნი გამოვა დაახლოებით 15 ოკტომბრამდი.
...რესი: Подгорная ул. Сергѣю Герсамія. გამომცემელი სერ. გერსამია.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ თფილისის ქუჩაზე ქალაქის აფთიაქის გვერდით, ჩვენ ძმ. გრიგოლაშვილებმა მოვაწყვეთ ახალი რესტორანი

## ფაზისი,

სადაც შეიძლება იშოვოთ ახალი სანოვაგისაგან გაკეთებული საუზმე, სადილი და ვახშამი ქართული და ევროპიული იაფ-ფასათ; ყოველგვარი ღვინო, ტკბილი სასმელი და ცივი მინერალური წყალი.
რესტორანში დაცულია სიწმინდე და თავაზიანი მოპყრობა მოსამსახურეების

## თფილისის საპოლიტეხნიკო კურსები, ინჟენერ მ. ნ. გონიერაძისა.

განყოფილებანი: სამიწის-მზომელო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული. სამიწის-მზომელო და სამშენებლო განყოფილებებზე მსურველთ იღებენ. მეცადინეობა 1 ოკტომბერს დაიწყება. პროგრამისა და პირობებისათვის საჭიროა 4 შვიდ-კაპიკიანი მარკა. პირადად მოლაპარაკება შეიძლება საღამ. 4 8 ს., დუშეთის ქ. № 4, ბინა მე-2.

## ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

ღებულობს შინაგან, ბავშვებისა და ნერვების ავათმყოფებს.
იქვეა დიაგნოსტიური კაბინეტი
გამოკვლევა შარდისა (ვენერიული, ბუშტის, თირკმლების, შაქრის, ქარებისა ტ თირკმლების, ქვისა და ხრეშის ავათმყოფობის გამოცნობა).
ნახველის (ჭლექი, ფილტვების ანთება, ინფლუენცა, აკტინომიკოზი და სხვ..)
სისხლის (მალარია, ტიფი და სხვადასხვა გვარი უსისხლობა).
კუჭის სითხის (კუჭის კატარი, მისი მუწუკი, კიბო და სხვა).
ესკრემენტების (ნაწლევების პარაზიტებზე და მის კვერცხებზედ).
ჩირქის (ჭლექი, დიფტერიტი და სხვა).
ქალის რძისა.
ადრესი: პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის ზევით.

ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროსებს

## ირისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 25 | ცალი | 3 შ. | იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც. |
| 10 | — | 6 კ. | |

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოვო გემოვნებით.
თუთუნის ქარხანა ძმათა სეილანოვებისა. თფილისში.

ПО СЛУЧАЮ ОТЪѢЗДА
## ПРОДАЕТСЯ
очень дешево дача въ Сурамѣ, большой двухэтажный домъ съ флигелемъ; полторыдѣсятины земли; изъ нихъ полъ десят. сосновой рощи съ банковскимъ долгомъ, объ условіяхъ узнать: г. Кисловодскъ до востебованія, *Генеральшѣ Якуловой*.

აგარავ სურამში, საიდანაც მივდივართ,

## იაფათ იყიდება

დიდი ორსართულიანი სახლი ფლიგელით, ერთ-ნახევარი დესეტინა მიწით. ნახევარ დესეტინაზე ნაძვნარია, ბანკის ვალით. პირობების შეტყობა შეიძლება ამ მისამართით: კისლოვოდსკში ღენერლის მეუღლეს იაკულოვისას (до востребованія).

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი.
ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი ვენერიული კანის) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

**ექიმი** კ. ი. აშიანცი დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა. ივანოვის ქ. ჰ. აშიანცის სახლი.

**ექიმი** ვ. ი. ვაკიტელაშვილი
საზღვარგარეთ გამგზავრების გამო დროებით ავათმყოფებს ველარ მიიღებს.
13—15

**ექიმი** გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშვებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ, და საღამოს 5—7 საათ, თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30

**ექიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი.

**ექიმი ი. ჩარექოვი**
იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გოგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
## მ. ბალახნიჩევასი
კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, სამკურნალო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე უცრი ყვავილსაც.
გენერლის ქუჩა, ექიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

ქუთაისში, ღენერლის ქუჩაზე
## იყიდება
150 ოთხკუთხი საჟენი მიწა ხის სახლით და ორი თვალი ქვიტკირის სამზარეულოთი. მიაკითხეთ ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში დ. მაჭავარიანს.

## დავეხმაროთ ბესარიონ ქებურიას!

როდესაც ადამიანი ბეწვზე კიდებს თავის სიცოცხლეს იმ მიზნით, რომ კაცობრიობის ცოდნის სალაროში თავისი წვლილი შეიტანოს, საზოგადოება, ყოველი წევრი ამ საზოგადოებისა შესაფერისად და შეძლების კვალობაზე ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს მას. ეს საერთო, საკაცობრიო კანონია და ყოველს ჭკვათმყოფს იგი მიზნათ უნდა ქონდეს დასახული.

მეცნიერება და სხვადასხვა დარგის გამოკვლევა, გამოგონება ქვეყნიურია, საერთოა, საკაცობრიო, და საზოგადოებაც მოვალეა, მისთვის გადამთიელიც რომ იყოს ასეთი პიონერი მეცნიერებისა თუ გამოგონების, ან თუნდა უბრალო ხელის შემწყობიც ამ მეცნიერებისა და გამოგონების—მოვალეა ხელი შეუწყოს მას მეცნიერების სახელისთვის, ადამიანთა საკეთილდღეოთ.

ვინ მოსთვლის, რამდენი მუშაკი დაღუპულა ამ მეცნიერული კვლევა ძიების სარბიელზე სხვადასხვა მიზეზით, სხვადასხვა გარემოებით.

ავიაცია, ჰაერში ფრენა, ფრთოსანთა სამეფოში შეჭრა ჩვენი საუკუნის დიდებული საქმეა.

ჩვენი პატარა ქვეყანაც ცდილობს ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს. ერთი ჩვენი ქვეყნის შვილი, სამხცრო მფრინავი ცომაია სხვერპლად შეეწირა ამ დიად საქმეს. მეორე, ბეს. ქებურია არ კარგავს ენერგიასა და გაბედულათ, თავგამეტებით მუშაობს ამ სარბიელზე...

ბეს. ქებურიამ შრომა-ენერგიასთან ქონებაც გადაალია ამ საქმეს და ეს ერთი ხანია სწორეთ იმას გამო, რომ საშვალება არ ქონდა, რამდენიმეჯერ ბეწვზე დაკიდა თავისი სიცოცხლე: ხელ ვიწროობის გამო აპარატი ვერ მოაწყო სასურველად, მოტორი ხშირათ დალატობდა.

დღეს, ამ გაბედულ ავიატორს, ასე თუ ისე გაუმართავს მანქანა, მაგრამ თვით იგი არაა კმაყოფილი თავის აპარატით:—ბევრი აკლია ჩემს მანქანას, კვლავ დიდი შრომა და ხარჯი მჭირია, რომ სასურველად მივაწიო მიზანსო — გადმოგვცა მან.

და აი, ჩვენი ქვეყნის უმაღლესმა მთავრობამ ბძანება გამოსცა, რო მის სასარგებლოთ შეწირულობა მოგროვდეს ჩვენს ქვეყანაში. თფილისის რედაქციებმა უკვე გამართეს ასეთი ხელის მოწერა.

მოვუწოდებთ საზოგადოებას—ვისაც რამდენი მოეხერხება, ხელი შეუწყოს ამ გაბედულ ადამიანს და ამ წვლილით დაეხმაროს იმ დიდ საქმეს, რომელსაც ბ. ქებურია ასეთი სიყვარულითა და სურვილით ემსახურება.

დავეხმაროთ ბეს. ქებურიას!

„იმერეთის" რედაქციაც ღებულობს ასეთს შეწირულობას.

## ახალი ამბავი.

✦ ხვალ, ხუთშაბათს ექვსი თვე შესრულდება, რაც ქართველობამ დაკარგა ერთი რჩეული შვილთაგანი, არჩილ ჯორჯაძე. მთავარანგელოზის ეკლესიაში განსვენებულის სულის მოსახსენებლათ გადახდილი იქნება პანაშვიდი.

✦ გიგა ჯუღელის გადაცვალების გამო გლოვის ბარათი მივიღეთ განსვენებულის ამხანაგებისაგან: „ჩვენი ღრმა მწუხარება გამოიწვია ძვირფასი ამხანაგის გიგა ჯუღელის უდროვოთ გადაცვალებამ. ვინც განსვენებულს იცნობდა, არასოდეს არ დაივიწყებს მის სახელს, მის

ადამიანობას. პ. გ—ძე, ლ. შ—ია, ილ. წ—ძე, ი. ბ—ძე, ნ. კ—ი, დ. კ—ი, გ. ბ—ძე, კ. ი—ი, ბ. მ—ძე.

✦ დაუსრულებელი შეიქნა წყალსადენის პირობების დაწერაც კი დადიანთან და კანცელთან, თვარა მუშაობის დაწყებაზე ფიქრი შორსაა. ამ ჟამათ თავ. დადიანი ქუთაისშია და ქალაქის გამგეობასთან კვლავ პირობის ზოგიერთ მუხლის შეცვლაზე აქვს მოლაპარაკება.

✦ პარასკევს საჯარო ვაჭრობაა დანიშნული „პროგრესის“ მაღაზიისა, რომლის ბედიც უკუღმა დაატრიალეს მისმა ხელმძღვანელებმა.

✦ **კ. ფოცხვერიშვილის კონცერტის რეპეტიცია.** დღეს, საღამოს ქალაქის თეატრში 7 საათზე დანიშნულია უკანასკნელი სანიმუშო რეპეტიცია, რომელზეც უნდა გამოირკვეს ხოროში მონაწილეთა რაოდენობა და სიმღერათა პროგრამა. ვინც ამ რეპეტეციას არ დაესწრება ხოროში არ ჩაირიცხება.

✦ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტმა საღამოს კურსებზე ლექტორათ მიიწვია ია ეკალაძე. ბ-ნი ეკალაძე ქართულ ლიტერატურაზე წაიკითხავს ლექციებს. პირველი ასეთი ლექცია ხუთშაბათს წაიკითხა.

✦ გუშინ განახლდა გაზეთი „თანამედროვე ქვეყნის“ გამოცემა.

✦ ჭიათურაში შავიქვის მრეწველთა საბჭოს სხდომები ბევრი საქმეების გამო კვლავ გძელდება.

✦ მიხეილის სადგილ-მამულო ბანკში დაგირავებულ მამულებზე საჯარო ვაჭრობა დანიშნულია დეკემბრის შემდეგ რიცხვებს: ქალაქის მამულებისა 5-სა და 20 დეკემბერს; გუბერნიის ქალაქებისა და დაბების 9-სა და 23-ს; სოფლის მამულებისა 13-სა და 30-ს და ქ. თფილისის გუბერნიის მამულებისა 2-სა და 17 დეკემბერს.

✦ ნორმალური მუშაობის დროის წესი შემოიღეს და სავაჭროები თუ სხვა დაწესებულებანი იცვენ მას, მაგრამ საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთ კერძო სახელოსნოებს, რომელიც კერძოთ სახლებშია მოწყობილი და სადაც ნორმალური დასვენების კანონი მომუშავეებზე არ ვრცელდება. ასეთ სახელოსნოებში მუშაობა გძელდება დილის 6 საათიდან ღამის 11 და 12 საათამდი, როგორც ამას ასეთი სახელოსნოს პატრონის საჭიროება მოითხოვს. ერთი ასეთი სახელოსნო გელაშვილის სახლებშია ფერმის ქუჩაზე, სადაც მომუშავე ქალები დიდ გაჭირვებაში არიანო.

✦ 23 სექტემბერს ოლქის სასამართლომ გაარჩია შემდეგი საქმეები: მარკოზ აბულაძის, რომელსაც ბრალდებოდა ყალბი თამასუქის მიცემა, რომელშიც უნდა წერებულ იყო „ათი“, მას ჩაუწერია „ასი“ სასამართლომ იგი დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა რვა თვით გამასწორებელი რაზმი ღირსების ახდით.

✦ ამავე დღეს სასამართლომ გაარჩია ქუთაისის ყოფილი ბოქაულის თანაშემწის ილია ეშიბაიას საქმე. მას ბრალდებოდა 15 მანეთის მითვისება, რომელიც გამოურთმევია არჩილ ჩხეიძისთვის. ეს ფული მას უნდა წარედგინა სადაც ჯერ იყო. სასამართლომ იგი დამნაშავეთ იცნო და ღირსების ახდით რვა თვის ციხე მიუსაჯა.

✦ სასამართლომ გაამართლა თეკლე რუხაძის მეუღლე. მას ბრალდებოდა 1911 წელს ქმრის დახჩობა. დღემდი ეს ქალი ციხეში იჯდა.

✦ ქიმიური ლაბორატორიის აგენტებმა ი. ჩაჩანიძემ და ი. გელოვანმა, ქიმიკის თანდასწრებით დაბეჭდეს ღვინოები მეწვანილეებში, ყაფანზე, მეთევზეების, ვარანცოვის, მიხეილის და ბაზრის ქუჩაზე. ნიმუშები ლაბორატორიაში გაგზავნეს შესამოწმებლათ.

**შეცთომის გასწორება.**

გუშინდელ ნუმერში შემდეგი შეცთომა გაგვეპარა: ფელეტონის მე-4-ე სვ. მე-5-ე პწკ. დაბეჭდილია: „მოდუდუნეთო“, უნდა იყოს „მოადუნეთო“ ფელეტონის ბოლოდან მე-6-ე პწკარზე: —„ნაციონალურ აღზდაზე“ უნდა იყოს; „რაციონალურ აღზდაზე“.

## მოწერილი ამბები.

**ს. კაცხი.** (ზემო იმერეთი) კაცხის საზოგადოებამ ზემო იმერეთის სხვა სოფლებთან შედარებით სწავლა-განათლების მხრით დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ. ამ ჟამათ ამ საზოგადოებას აქვს ერთი ორკლასიანი და ორი ერთკლასიანი ვაჟთა და ქალთა სასწავლებელი, მშვენიერი შენობითა და მორთულობით. ქალთა სასწავლებელი წელს გახსნა საზოგადოებამ, მასწავლებელთაა დანიშნული ქ-ნი გალინა ქოჩიაშვილის ასული. საზოგადოება ცდილობს საფოშტო განყოფილების გახსნას სალიეთში, რისთვისაც შესაფერი თხოვნა გაიგზავნა.

# ჩვენი შკოლები.

IX.

**ახალი განკარგულება.**

როგორც ვიცით, ბ. გროზდოვმა თავის რაიონის პირველდაწყებითი შკოლების გამგეებს გოგებაშვილის „Русское Слово“-ს ნაცვლათ გრიგორევისა და ოლენინის წიგნის შემოღება უბძანა.

ჩვენც და ჩვენი მასწავლებლებიც კარგათ ვიცნობთ ბ. გროზდოვს და, ცხადია, მას აწუხებს არა ის უკუღმართი გზა, რომელზედაც ჩვენი შკოლებია დღეს დაყენებული, არამედ ისა, რომ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს სხვა კარგ მხარეებთან ერთად ქართულ ენასთან აქვს მჭიდრო კავშირი და მას სურს ეს კავშირი გაწყდეს, **რომ ჩვენმა შკოლებმა სამუდამოთ დაკარგოს ეროვნული სახე—თანდათან გამოეცალოს იქ სამშობლო ენას არსებობის უფლება.**

ეს რომ ასე არ იყოს და პედაგოგის მუნდირებში გახვეულ ბიუროკრატ-პოლიტიკანებს აზრათ არ ქონდეთ დასაგმობი მიზნის განხორციელება ჩვენი შკოლების საშვალებით, განა წარმოსადგენია საუკეთესო სახელმძღვანელოს ნაცვლად ცუდის და არა შესაბამის შემოღება?

ეჭვს გარეშეა, რომ დღევანდელი პედაგოგიის საღ მოთხოვნილებათა მიხედვით შედგენილ სახელმძღვანელოს უპირველეს ყოვლისა მოეთხოვება, რომ იქ მთელი მასალა იყოს აღებული თვით იმ ხალხის ცხოვრებიდან, რომლის შკოლებისთვისაც არის ის შედგენილი. სახელმძღვანელოში უნდა იყოს სურათად განხორციელებული და აზრად შექმნილი ბავშის სამშობლოს ჰაერი, მიწა-წყალი, მისი ერის ზნე-ჩვეულება და ცხოვრების მხარეები, რომ მისთვის ცოდნის შეძენა და უცხო ენის შესწავლა იყოს ადვილი და სასიყვარულო.

ეს უმთავრესი მოთხოვნილება გოგებაშვილის სახელმძღვანელოში დღეს არსებულ სხვა სახელმძღვანელოებზე ბევრათ უკეთაა დაცული. რაც შეეხება დანარჩენ მოთხოვნილებას, აქაც ჩვენ ვხედავთ ამ სახელმძღვანელოს უპირატესობას. ვრცელი და მრავალფეროვანი მასალა ბავშის სულიერის და ზნეობრივის მხარის გასავითარებლად, სხვადასხვა სახის სავარჯიშოები ენის კანონების შესასწავლად, მოთხრობები, რომელსაც ხელოვნური და სინამდვილეს მოკლებული ხასიათი არა აქვს, საჭირო ადგილს სურათები, ბევრი ისეთი მოთხრობა, სასაუბრო, ანდაზა და გამოცანები, რომელიც ბავშს უკვე გაუვლია დედა-ენაზე, თავისუფალი და ბავშისთვის ადვილი გასაგები ენა და მასალის თანდანობითი დალაგება—ნათლად ამტკიცებს ამ სახელმძღვანელოს უპირატესობას.

ხოლო რაც შეეხება გრიგორიევის და ოლენინის სახელმძღვანელოს, ამაზე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ის ჩვენი შკოლებისთვის უვარგისია, ვინაიდან ის შედგენილია რუსის შკოლებისთვის.

როგორ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ბავშის აზრმა და გონებამ შესძლოს გავითარება ისეთი მოთხრობებით, რომელიც მას ვერ წარმოუდგენია, ან შეითვისოს ისეთი საგნის აწერა, რომელიც მას თვალითაც არ უნახავს, ან განიმტკიცოს ნათელი წარმოდგენა ისეთ მოვლენის შესახებ, რომელსაც ბავშის ქვეყანაში ადგილი არ აქვს!

აი, როგორი ცუდი და ჩვენი შკოლებისთვის არა შესაფერისი სახელმძღვანელო მოიწონა და შემოიღო ბ. გროზდოვმა!

მოიწონა...

მაგრამ „Русское Слово“ არ არის მოწონებული უმაღლესი საშკოლო მთავრობის, ოლქის მზრუნველისა და უწმინდესი სინოდის მიერ?

განა ცნობილმა პედაგოგებმა, როგორიც არიან ბ.ბ. ალექსი ჭიჭინაძე, ფ. იანოვიჩი და სხ., არ გაარჩიეს ყველა სახელმძღვანელოები და უპირატესობა არ არგუნეს გოგებაშვილის წიგნს და ეს გარჩევა—რეფერატი ოლქის მზრუნველის კანცელიარიამ არ მოათავსა შარშან თავის ცირკულიარის მეორე ნუმერში?

მაგრამ დღეს ხომ ჩვენი სიმართლე არ სიმართლეობს და უფლება არ უფლებობს!

ცხადია, რომ ბ. გროზდოვის აზრი, ცდა და შრომა მიმართულია იმისკენ, რომ ჩვენს შკოლაში არ იზდებოდეს ხალხის შვილი, რომელიც სიყრმიდანვე შეისისხლხორცებს თავის ერის ნახულნაცადს, ნაგრძნობს და ნაფიქრ-ნააზრევს!...

ახალი განკარგულება მოითხოვს ჩვენი მასწავლებლების მკვეთრს ხმას და მივმართავთ მათ ჟურნალ „განათლების“ სიტყვებით: „თუ მასწავლებელი მოიწონებს, არავის შეუძლია წინაღუდგეს და მიაჩეჩოს სხვა წიგნი, მით უფრო რუსული ენის სახელმძღვანელოები, რომელთა შორის ჩვენი შკოლებისათვის გოგებაშვილის ორივე რუსული სახელმძღვანელო უაღრესად მოწონებულია მთავრობის მიერ და არავის აქვს უფლება პურის ნაცვლად ქვა მიაწოდოს. ეს დიდი დანაშაულობა იქნება, რადგანაც „Русское Слово“-ს მაგიერობას, როგორც ეს განუზრახავს ბ. გროზდოვს, ვერაოდეს სხვა რუსული სახელმძღვანელო, როგორიც არის მაგალითად, გრიგორიევის და ოლენინის წიგნი, ვერ გასწევს. ეს კარგათ უნდა იცოდენ ჩვენი შკოლის მასწავლებლებმა და სხვა სიკეთესთან ერთად მედგრათ უნდა დაიცვან შკოლებში სახელმძღვანელოების საკითხიც. ამას დიდი გმირობა არ სჭირია, საჭიროა მხოლოდ ცოტა გამბედაობა, საკუთარი ინიციატივა და კანონის დაცვა და ვინც ამას მოკლებულია—ის შკოლაში შესაშვებიც არ არის.“

ვ. ა—ნი.

## სავრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა საყურადღებოთ.

დღეს არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს წრევანდელი მოუსავლიანობა. ამას ადრევე ვგრძნობდით, რომ ასე იქნებოდა, რადგან მთელი ორი თვის განმავლობაში დედა-მიწას არც წვიმა და არც ცვარი არ ღირსებია. ამასთან დაერთო კიდევ იმერეთის ჩვეულებრივი მტერი „ზენა-ქარი,“ რომელმაც ყანებსა და ვენახებს დიდი ზარალი მიაყენა. გამუდმებულმა სიცხეებმა და ძლიერმა ქარმა ნორჩი სიმიდი წელში გასწყვიტა და ზოგან სულმთლად ამოაყნო. თავ-საყარათა და სტაროოთ გამზადებული სიმიდი უკაკლოთ დარჩა და ზოგან, ამბობენ, ჩალათაც აღარ გამოდგებაო.

ასეთივე ზარალი მიაყენა ვენახებსაც. უმეტეს შემთხვევაში ყურძნის მტევნები დასწვა და მოსაფშვენათ გახადა. უკეთესი დღე არც ხეხილებს დასდგომია. ზოგან სულ მთლად მოხარშა, ხოლო, რაც გადურჩა და დამწიფდა, უგემური, დამატლული და გამომშრალია.

ამ პირობებში, რაღა თქმა უნდა, კარგს მოსავალს არ უნდა მოვლოდებოდით და ეს მოლოდინიც ასრულდა. სოფლებში უკვე დაიწყეს რთველი, მაგრამ ორი-სამი თვის სარჩო ძლივს შეგროვდება. ეტყობა არც სადათ დარჩენილ ყურძენს ექნება ჩვეულებრივი გამოსავალი და ღვინოც უხალისო და დარე დადგება. ასეა თითქმის ყველგან დასავლეთ საქართველოს ყოველ კუთხეში ცოტა მეტ-ნაკლებობით, როგორც ამას გაზეთებიდან ვტყობილობთ. ერთი სიტყით, შიმშილი კარზე გვადგია და ხალხს დიდი გაჭირვება მოელის. რით დააღწევს ხალხი თავს ამ აუტანელ მდგომარეობას, ჯერ გამოურკვეველია. ამ გვარი მოუსავლიანობა სოფელს წინათაც გამოუცთია, მაგრამ საგრძნობელი დახმარება გარედან არაოდეს არ უნახავს. გარეშე შემწეობის იმედი არც ახლა უნდა გვქონდეს. თუმცა მთავრობამ ახლავე მიაქცია ყურადღება სოფლის უნუგეშო მდგომარეობასა და ცნობების შეკრებას შეუდგა, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ეს მხოლოდ ქაღალდების მიწერ-მოწერით დასრულდება. ისიც დიდ წყალობათ უნდა ჩაითვალოს, თუ მთავრობამ ჩარჩი ვაჭრები ალაგმა, საზღვარგარეთ სიმიდის გატანა აკრძალა და საკვები მასალის მიტან-მოტანის ფასი დროებით მაინც შეამცირა. ყოველ შემთხვევაში, რა ზომებს მიიღებს მთავრობა და ან რით დაეხმარება გაჭირვებულ სოფელს, ეს კითხვა მომავლის საქმეა და წინდაწინ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება. ვნახოთ როგორ ისარგებლებენ ჩვენი დეპუტატები მთელი კუთხის დამშევით, რა უნარს გამოიჩენენ და ან რას იტყვის სახელმწიფო სათათბირო.

ჩვენის ფიქრით სხვისი მოიმედე მაინც არ უნდა დავრჩეთ. სოფელმა თავის თავს ისევ თვითონ უნდა უშველოს და თავისი მეურნეობის გაუმჯობესობით შეებრძოლოს ამ გვარ შემთხვევებს მომავალში, რათა თავიდან აიცილოს შიმშილი და ამის გამო მუდამ სხვისი ლიტინი და ხვეწნა. დღესდღეობით კი დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ საკრედიტო და კოპერატიულ ამხანაგობებს იაფი კრედიტის მიწოდებითა და საკვები მასალის გამოწერით. მაგრამ, სამწუხაროთ, ესეც ყველგან მოუხერხებელია. ჯერ კიდევ ბევრი ამხანაგობა არის, რომ საშვამავლო ოპერაციები არ აქვს შემოღებული უსახსრობის გამო; კრედიტითაც მცირედით სარგებლობს სახელმწიფო ბანკიდან, როგორც ახლად დაარსებული. ამგვარ ამხანაგობათა მოქმედება ამ გაჭირვების დროს ძალ-უნებურად შეზღუდული უნდა იყოს, აი აქ, ამისთანა ამხანაგობებს დახმარების ხელი უნდა გაუწოდონ დანარჩენმა ამხანაგობებმა.

წრევანდელს საგუბერნიო კრებაზე, ივლისის პირველ რიცხვებში, ძალიან ბევრს ვლაპარაკობდით კავშირის დაარსების საჭიროებაზე და აი საჭიროებაც ახლაა. სანამ ეს კავშირი ოფიციალურათ გაიხსნებოდეს, მანამდიც შესაძლებელია ერთი მეორეს დახმარება, უკეთუ მონდომება იქნება და ძმათა სიყვარული. სიმიდის მოსავლიან კუთხეებში არსებულ ამხანაგობათ უნდა დაიკვეთონ მაზანდაზე სიმიდი და ეს გარემოება აცნობონ დანარჩენ ამხანაგობათ, რომელნიც არ დააყენებენ შესაფერისი ზომების მიღებას და ან თვითონ შეიძენენ და ან მცხოვრებლებს შეაძენიებენ ცოტა სადავათით. კარგი იქნება ამის შესახებ მოსალაპარაკებლათ დაინიშნებოდეს ამ შემოდგომაზე ამხანაგობათა წარმომადგენლების საგუბერნიო კრება და ან პრესის საშვალებით გაუზიარებდეთ ერთი მეორეს ჩვენს გაჭირვება-დალხინებას.

„სახალხო გაზეთის № 990-დან უკვე ვტყობილობთ, რომ ზესტაფონის საკრედიტო ამხანაგობას ახლავე მიუღია თადარიგი თავისს წევრთათვის სიმიდის შესაძენათ და საჭირო დახმარებაც უთხოვნია სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილებისაგან. უეჭველია ასევე მოიქცევიან სხვა გამოცდილი და წელგამაგრებული ამხანაგობებიც, რითაც საგრძნობელ დახმარებას აღმოუჩენენ გაჭირვებულს სოფელს და ამით ხალხის სიყვარულსაც დაიმსახურებენ. მაგრამ, როგორც ზევით მოგახსენეთ, ყველა ამხანაგობას ეს არ შეუძლია. ამიტომ მე ვსთხოვ ყოველ ამხანაგობის გამგეობას, ყურად იღონ ეს ჩემი წინადადება და დროით ამოიღონ ხმა, თუ რა გზით შეუძლიათ მათ დახმარება გაუწიონ იმ ამხანაგობას, რომელსაც ჯერ კიდევ ამგვარი ოპერაციებისათვის საშვალება არა აქვთ.

ამას გარდა ნუ დაიშურებენ თავისს გამოცდილებას და მიაწოდონ რჩევა გამოუცდელ ამხანაგობათა გამგეობას, თუ რა გზით, როგორის ფორმით და შეიძლება შუამდგომლობის აღძვრა „საკვები თანხის“ საკრედიტო ამხა... ბაზე გადასაცემად. ამბობენ, რომ ამ... ხის გამოტანას თან სდევს თურმე ... გვარი ფორმალური დაბრკოლება და... ტომ, შრომამ და ენერგიამ რომ ... არ ჩაიაროს, საჭიროა ნაცადი გზით ... მის დაწყება. ესეც, რა თქმა უნდა, ... ხმარების ერთს საშვალებას შეადგ...

ამასთანავე დარწმუნებული ვართ, ... ამ ერთი წლის განმავლობაში ... ამხანაგობას ძალიან გაუჭირდება ... ვექსილების დახსნა, რადგან უზომ... ჭირვების დროს სესხების შემოტან... ჩერდება და ამით მასაც საშვალება... ესპობა პირიანათ გადაუხადოს ვალ... ხელმწიფო ბანკს. უეჭველია ეს ცუ... ვლენას იქონიებს ამხანაგობის კრედ... და ადვილათ შეიძლება ზოგიერთი... ნაგობა დაღუპვის კარამდი მიიყვან... დეც. აი, ამის თავიდან ასაშორ... საჭიროა, ახლავე იქნას აღძრული ... მდგომლობა სახელმწიფო ბანკის წ... მოკლევადიანი სესხის ვადის გაგ... ბაზე თუ მეტით არა, ერთი წლით ... როგორც დანამდვილებით შევიტ... ამას შეისმენს ბანკის გამგეობა ... ლობის გამო, მხოლოდ ამის შესახებ... ლი ამხანაგობამ უნდა აღძრას შუამდ... ლობა.

იმედია, ყოველი ამხანაგობის გამ... ბა თანხმობით იმოქმედებს ამ შემ... ვაში და ამგვარი თვისი შუამდგომლ... სხვასაც დახმარებას გაუწევს. საქ... ამის შესახებ ცნობები გამოქვეყნდე... ზეთის საშვალებით. წყალტუბოს ს... დიტო ამხანაგობა უკვე აგზავნის ა... შუამდგომლობას და იმედია მას სხ... დაუჭერენ მხარს.

დვდ. ი. ფუ...

## ქუთაისის ქალაქის თვითმართველობ... სამსახურეთა ეკონომიური მდგომა...

ყველასათვის ცხადია, რომ ცხოვ... წინსვლასა და განვითარებასთან ... იზდება ადამიანის სულიერი და ფი... რი მოთხოვნილებანი.

რთულდება და ძვირდება თან... ცხოვრება.

რაც 10—15 წლის წინათ საკმა... ადამიანისთვის თითქმის ფუფუნებ... ქმნისთვისაც, ის დღეს მის უსაჭ... მოთხოვნილებათაც ვეღარ აკმა... ლებს.

ამ მოვლენას ყველა უწევს ან... და თითქმის მთავრობის ყველა საზო... თუ კერძო დაწესებულებაში გაუ... მოსამსახურეებს ჯამაგირები.

ქუთაისის ქალაქის თვითმართველ... კი, მიუხედავათ იმისა, რო მოსამსა... ნი თითქმის ორჯერ ნაკლებ ჯა... იღებენ, ვიდრე არათუ საგუბერნიო... მაზრო ქალაქების თვითმართველ... მოსამსახურეთა ნივთიერათ უზრუ... ყოფის საკითხი საზოგადოთ მივი... ლია.

მეტათ დაჩაგრულია ამ მხრით ქა... გამგეობის კანცელარიის მოსამსახ... მაგალითად, მდივანი და ბუღა... იმდენს იღებენ ჯამაგირათ, რომ...

# დღიური.

— საბერძნეთი ოსმალეთთან ომის მოლოდინით ფლოტს აძლიერებს.

— სერბიელებმა ალბანელებისაგან დიბრა დაიბრუნეს.

— ბულგარეთში ცენზურა გააუქმეს.

— პაშიჩს პარიზში შეპირდენ—სერბიას 125 მილიონ ფრანკს ვასესხებთო.

— სერბიელებმა აიღეს ოხრიდი, გალიჩნიკი და ჟიროვნიცა.

— ოსმალეთის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა ჯარი დაითხოვოს,

— ოსმალეთი საფრანგეთიდან ნახევარ მილიარდ ფრანკს სესხულობს.

— მექარხნეებმა ტრედ-იუნიონებს განუცხადეს—ბალტონში გაფიცვა თუ 25 ოკტომბრამდი არ დასრულდა, ყველა ქარხანას დავხურავთო. ქარხნების დახურვას 350 ათასი მუშის უმუშევრათ დარჩენა მოყვება.

— მოსკოვში ტრამვაის მუშები გაიფიცენ.

— დეპუტატი მაკლაკოვი სასამართლოში ბეილისის დამცველად გამოდის.

— მთაშავეთში მობილიზაციის შესახებ მანიფესტი გამოქვეყნდა

— ოსმალეთში ერთობისა და რესის კომიტეტი საბერძნეთთან მომხრეა.

— ლონდონში სუფრაჟისტ... ბინები გაჩხრიკეს და ბევრი დააპატ...

— კიევში კომერციული ინსტი... პოლონელ სტუდენტთა საზოგა... დახურეს.

— ვენის გაზეთებში ბევრს ... იმის შესახებ, რომ ბულგარეთი ... ლეთს კავშირათ ეკვრება სერბია-საბ... თის წინააღმდეგო.

— ცნობაა—ოსმალეთს აზრათ ... საბერძნეთის დღევანდელი მდგომ... ბით ისარგებლოს და დაპყრობილი ... რიტორია ისევ წაართვასო.

— დიდი სახელმწიფოები შუამ... ბას კისრულობენ ოსმალეთ-საბერ... შორის.

— ბულგარეთში მობილიზაცია ... მოაცხადეს. მატარებლებს მხოლო... რი გადაყავს.

ქუთაისის სხვა დაწესებულებებში —მათი თანაშემწენი; თანაშემწეები კი ზოგიერთ დაწესებულების დარაჯის ჯამაგირის ოდენასაც ვერ ღებულობენ. ამგვარათვე დაჩაგრული არიან კანცელარიის სხვა მოსამსახურეებიც.

პენსიის საქმეც დამარხულათ უნდა ჩაითვალოს.

ქალაქის ზოგიერთ დაწესებულებას ყავს საგანგებო კომისიები, რომელნიც ზრუნვენ როგორც დაწესებულებაზე, ისე იქ მოსამსახურე პირებზე; და ამ დაწესებულებებში მოსამსახურეთა მდგომარეობა კანცელარიის მოსამსახურეთა მდგომარეობასთან შედარებით უკეთესია; სხვათა შორის იქ ყოველ ხუთ წელს შემდეგ უმატებენ ჯამაგირებს 20%; ჯამაგირებიც შედარებით გვარიანია.

ამათი ჯამაგირების მომატება წინააღმდეგობას არ იწვევს არც ქალაქის სალაროსა და არც საგუბერნიო საკრებულოს მხრით.

ხოლო თუ რომელიმე კანცელარიის მოსამსახურემ სამართლიანად ჯამაგირის ცოტა მომატება ითხოვა, საფინანსო კომისიას და საბჭოს ხმოსნებს მოყავს საბუთად კასის სიცალიერე და მათი თხოვნები დაუკმაყოფილებელი რჩება.

არსად არაა ისეთი ქალაქი, რომ ფული თავზე საყრელათ ქონდეს.

ქუთაისს რაღაც ოთხასიოთას მანეთამდი აქვს ვალი, კავკასიის სხვა ქალაქებს კი მილიონობით, მაგრამ მოსამსახურეები ყველგან ბევრათ უფრო უზრუნველყოფილი არიან ნივთიერად, ვიდრე ქუთაისში.

ქალაქის გამგეობა, როგორც ადმინისტრატორი, ძალიან მკაცრია: თავის მოსამსახურეთაგან დიდ შრომას, ენერგიას, ერთგულებასა და პატიოსნებას თხოულობს; მაგრამ ამავე დროს, თუ მოსამსახურეების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე არ იზრუნო,—თუ, რასაკვირველია, მოსამსახურეები ამის ღირსი არიან,— ამ უკანასკნელთ ყოველივე ხალისსა და მისწრაფებას შრომისა და ერთგულებისადმი შეუსუსტებს.

ნუ დაივიწყებენ, რომ ქალაქის მეურნეობის განვითარებისთვის, საქმეების რიგიანათ დაყენებისა და წინსვლისთვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მოსამსახურეთა მუყაითობასა და ერთგულ სამსახურს. ხოლო ეს კუჭის სიცალიერის დროს მოუხერხებელია.

საჭიროა—ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოთ მოსამსახურე ნივთიერი მხრით, რომ მას დღიური ლუკმის საშოვრათ არ სჭირდებოდეს კერძო საქმეებზე დროს დაკარგვა და ქალაქის საქმეებზე გულის აცრუება.

**ქვილიშორელი კაკო.**

## უგ. თავ. უჩა დადიანის საქმე.

—

თ. ალექსანდრე დადეშქელიანის მკვლელობის საქმე 18 ეკენისთვეს დაიწყო ქ. ბაქოში. როგორც მკითხველებმა უწყიან, ეს საქმე მეხუთეთ ინიშნება გასარჩევათ. ამ ჟამათ იგი ბაქოს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში გადაიტანეს, რადგან თავადი უჩა დადიანს შუამდგომლობით ხალხს პროცესზე დასწრების ნება მისცეს და სასამართლოს დარბაზი კი ვერ დაიტევდა მრავალ მსურველთ. ას ორმოცზე მეტი მოწმე გამოცხადდა. ბრალდებულს ხუთი ვექილი იცავს: ცნობილი პეტერბურგის ვექილი ბობრიშჩევ-პუშკინი, თავ. მ. ფაღავა, კლანკი, მიქელაძე და პარასკევა ..

19-ს დასრულდა სააპელაციო საჩივრებისა და სხვა ქაღალდების კითხვა და პირველი ჩვენება ჩამოართვეს თ. ოთარ დადეშქელიანს. თავადმა სთქვა:

ჩემი ძმის, განსვენებული ალექსანდრეს ოჯახური ცხოვრებიდან ბევრი რამ არ ვიცოდი. სხვადასხვა ქალაქში ვცხოვრობდით და იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. 1909 წელს მაისში ქუთაისს ჩავედი ბანკის არჩევნებზე და გავიგე, რომ ალექსანდრეს და უჩას შორის დუელი უნდა მომხდარიყო. ვიცოდი ჩემი ძმის სიფიცხე, ამიტომ დავიბარე და საქმის ვითარება გამოვკითხე. ალექსანდრემ სიხარულით გამომიცხადა—ისეთი მდგომარეობაში ჩავაყენე უჩა, რომ იძულებული გახდა დუელში გამომყვესო. ჩემის რჩევით დუელი აღარ მოხდა და მეორე დღეს მოპირდაპირენი შერიგდენ. ამ ხანებში ათასი ხმა დადიოდა კნ. ბაბილინაზე. იგი არცხვენდა და ჩირქსა სცხებდა მთელი ჩვენს ოჯახს, რადგან აშკარა კავშირი ქონდა თავ. უჩა დადიანთან. ჩემ ძმას გულით უყვარდა თავისი მეუღლე, ეს უკანასკნელი კი არაფრად აგდებდა მისს სახელსა და პატიოსნებას.

„გავიდა რამდენიმე თვე. 7 იანვარს 1910 წელს თფილისში ორი დეპეშა მივიღე: ერთი თავად მელიქიშვილისაგან, მეორე—მარშლის თ. გელოვანისგან. პირველი მატყობინებდა: „შენი ძმა სასიკვდილოთ არის დაჭრილი. ჩამოდი". მეორე: „შენი ძმა მოკლულია". ქუთაისში რომ ჩავედი, ყველა თვალ-ცრემლიანი დამხვდა, ყველა წყევა-კრულვას უგზავნიდა მკვლელებს და აშკარად ასახელებდა ამ მკვლელებს. იქით-აქიდან მეუბნებოდენ, რომ დიდი ხანია ასეთ ბოლოს მოველოდითო. კნ. ბაბილინას მამამ მიამბო, როგორ უჯავრდებოდა იგი თავის ქალს და როგორ სთხოვდა გაეწყვიტა ყოველივე კავშირი თავ. უჩასთან; როდესაც მიხეილ ყიფიანი შეხვედრია თავ. უჩას და ამ უკანასკნელს უკითხნია —რა ამბავია? რა მოხდაო?—პირველს უპასუხნია—„მოხდა ის, რაც შენ გინდოდაო", მიამბეს ისიც, რომ, როდესაც ჩემი ძმის ქალიშვილს ნინოს, გაუგია თავის მამის მოკვლა, უტაცნია ხელი თავ. ფაღავას ხანჯლისთვის და მიწეულა თავ. უჩა დადიანის მოსაკლავათ, მაგრამ არ მიუშვიათ. საზოგადოთ ჩემი ძმისწულები ძალიან აღელვებული ყოფილან, ემუქრებოდენ დადიანს, ხოლო თავის დედას, კნ. ბაბილინას, პირში მკვლელს ეძახდენ. აი ყველა ის, რაც იმ ხანებში გავიგე. მე ამ დროს საზრუნავი მქონდა: ძმა უნდა გამესვენებინა სვანეთში. წავედით კიდეცა და ერთი თვის განმავლობაში სვანეთში, რომელიც მთელ ქვეყანას მოწყვეტილია, არაფერი გამიგია.

„12 თებერვალს, როდესაც უკან დავბრუნდი, გავიგე, რომ დაუპატიმრებიათ ზოგიერთები"...

„კნ. ბაბილინა ცუდათ ექცეოდა თავის ქმარს და არაფერს ერიდებოდა, როდესაც ჩემი ძმა ოჯახში ჩადიოდა, კნ. ბაბილინა მაშინვე ლოგინში ჩაწვებოდა ხოლმე. ბოლოს საქმე იქამდი მივიდა, რომ მოწამვლაც-კი მოინდომა ჩემი ძმისა. ყველამ იცოდა, რომ კნ. ბაბილინას შუშით საწამლავი ქონდა შენახული ბალიშს ქვეშ. ერთხელ ეს საწამლავი ჩაის ჭიქაში ჩაუყარა თავ. ალექსანდრეს. ბაბილინას მამამ დაიძახა—ეს რა ჩაი არისო,— ნინომ სტაცა ხელი ჭიქას, გავარდა გარეთ და სავსე ჭიქა გადააქცია. რაკი საწამლავით კნ. ბაბილინამ ვერაფერს მიაწია, სხვა საშვალებას მიმართა: აქეზებდა თავ. უჩას—მოკვლას გიპირებენო. ჩემი ძმა-კი ვერაფერს ხედავდა, იგი უფრო გულით ცხოვრობდა, ვიდრე ჭკუით.

„ამას შემდეგ საქმეს ხელი მოკიდა უჩა დადიანმა, თუმცა სული და გული იგივე კნ. ბაბილინა იყო. მკვლელის შოვნა, ჩვენდა სამწუხაროდ, ქუთაისში ძნელი არ არის. და აი მონახეს მკვლელები და მოკლეს ჩემი ძმა"...

ამ სიტყვებმა ძალიან აღელვეს თავ. უჩა დადიანი. მან განაცხადა, აქ მოწმის ჩვენება კი არა, რაღაც ზღაპრები გვესმისო...

მაგრამ თავჯდომარემ გააჩერა.

თავ. ოთარმა განაგრძო: „დაუწყეს ძებნა ისეთ კაცებს, რომელნიც ჩემი ძმის მოკვლას იკისრებდა. დადიანმა ნახა ვიღაც ქიქოძე და შეაძლია 500 მანეთი. მაგრამ მან უარი სთქვა. ეს ქიქოძე ტერორისტი იყო. ერთხელ ყაზახებს ჩაუვარდა ხელში და სცემდენ. ჩემი ძმა შემთხვევით შეესწრო და გადაარჩინა. ეს ახსოვდა ქიქოძეს და არ იკისრა ჩემი ძმის მოკვლა. ამ ხანებში ჩემ ძმას უსახელო წერილები მისდიოდა. ზოგი აფრთხილებდა, რომ მოკვლას უპირებდნენ. ჩემმა ძმამ ყველაფერი ეს მაზრის უფროსს აცნობა. შეიპყრეს კიდეც რამდენიმე კაცი—ალშიბაია, ბაკურია. მაგრამ ჩემი ძმის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. 7 იანვარს დეპეშით ქუთაისში დაიბარეს. რვა იანვარს სამ ადგილას სამსამი კაცი იყო ჩასაფრებული, არაფრისთვის არ უნდოდათ, რომ ამ დღეს ხელიდან გაეშვათ, დილით ჩემი ძმა ჯერ კუზოს სასყიდლად იყო, შემდეგ თავ. მელიქიშვილთან შევიდა და საავადმყოფოში მისვლა დააგვიანდა. იქ ჩასაფრებულნი შეშფოთდენ. ეშინოდათ—ამ დღესაც ხელიდან არ გაგვისხლტესო. კნ. ბაბილინამ გოგო გაგზავნა ალექსანდრესთან—ჩქარა მოდიო. ჩემი ძმა წავიდა. შემთხვევით ახლდა თან კნ. ან. ერისთავისა. როდესაც კნ. ბაბილინას რევოლვერის ხმა მოესმა დაიყვირა: „ჩემი ქმარი მოჰკლესო". ასე მოჰკლეს ჩემი ძმა".

თავადმა ოთარ დადეშქელიანმა დაასრულა საქმის ვითარების მოთხრობა. მთელი ერთი საათი მისს დაკითხვას მოუნდენ. არც საკვირველია: გარდა იმისა, რომ თავადი ოთარი მთავარი მოწმეა, იგი ბრალმდებელიც არის. მან თითონვე სთქვა, პირველ დღიდანვე შეუდექი კვლევა-ძიებას, შევკრიბე აუარებელი მასალა და იმ დასკვნამდე მივედი, რომ. ჩემი ძმის მკვლელობა მოაწყეს მისმა მეუღლემ კნ. ბაბილინამ და თავადმა უჩამაო. დამცველები და თვით უჩა დადიანი, რასაკვირველია, სცდილობდენ მისი სიტყვების გაბათილებას და მრავალ კითხვას აძლევდენ.

**ბრალმდებელი.** თავად უჩასა და კნ. ბაბილინას მიწერ-მოწერა ქონდათ თუ არა?

**თავადი ოთარ.** მთელი ორი წელიწადი ქონდათ მიწერ-მოწერა.

**ვექ. მუტუშევი.** თქვენა ბძანეთ, რომ მკვლელობის დღეს, რვა იანვარს, კნ. ბაბილინა და სხვები ძალზე შეშფოთებულნი იყვნენ; შიშობდნენ—ამ დღესაც უნაყოფოდ არ ჩაევლო და თავ. ალექსანდრე ცოცხალი არ გადარჩენილიყო. ბევრი ილაპარაკეთ აქ აგრეთვე საწამლავის შესახებ. გვითხარით, საიდან გაიგეთ ყველა ეს? დაგვისახელეთ ის კაცი, რომელმაც ეს ამბები გადმოგცათ.

**თავადი ოთარ.** იმ დროს ყველანი ლაპარაკობდენ ამ მკვლელობაზე. ყველამ იცოდა ის ამბები, რაც მე აქა ვთქვი. კნ. ბაბილინას კიცხავდენ არა თუ შორეულნი, მახლობელნიც—ძმა და და. ეხლა დრო და ვითარება შეიცვალა. ეხლა ბევრი მკვლელთა მომხრეა...

ამ სიტყვებზე საშინლად აღელვებული თავ. უჩა ფეხზე წამოიჭრა:

**თავ. უჩ.** გთხოვთ დამიცვათ ამ კაცისაგან: უფლება არა აქვს ჯერ, სანამ სასამართლო საბოლოოდ გადასწყვეტს, მკვლელი მიწოდოს...

თავჯდომარე ამშვიდებს.

**ვექ. მიქელაძე.** საიდან გაიგეთ, რომ რვა იანვარს ქუთაისში სამ-სამი კაცი სამს ალაგას იყო ჩასაფრებული?

**თავ. ოთარ.** პოლიციის ცნობებიდან.

**ვექ. ბობრიშჩევ-პუშკინი.** რა დროიდან ჩამოვარდა უსიამოვნება თქვენსა და თქვენ ძმას ალექსანდრეს შორის?

**თავ. ოთარ.** ჩვენ ყოველთვის კარგ განწყობილებაში ვიყავით.

**ვექ. ბობრ.-პუშკინი.** გამომძიებელთან გითქვამთ, რომ იყვნენ ისეთები, რომელნიც სცდილობდენ თქვენს გადაკიდებას.

**თავ. ოთარ.** მართალია, სცდილობდენ, მაგრამ ვერ მოახერხეს.

**ვექ. ბობრ.-პუშკინი.** თქვენ ძმას ხომ არავინ შემოკვდომია.

**თავ. ოთარ.** შემოაკვდა ერთი კაცი. მაგრამ ეს ამბავი დიდი ხანია მოხდა— 1891 წელს. ჩემი ძმა მაშინ გაამართლეს.

— ხანგრძლივი ლაპარაკი ჩამოვარდა იმ შუშაზე, რომელშიც კნ. ბაბილინა საწამლავს ინახავდა (სტრიხნინს).

**ვექ. კლანკი.** საიდან გაიგეთ, რომ ამ შუშაში საწამლავი ინახებოდა?

— ეს შუშა ახლაც შენახული მაქვს!

— აქი ბძანეთ, გადააგდესო.

— ის სხვა შუშა იყო.

— როგორ თუ სხვა? ვინ მოგცათ, სად ინახება იგი ახლა?

თავადმა ოთარმა არ მოისურვა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, რამაც ვექილების ცხარე პროტესტი გამოიწვია. მათ სთხოვეს თავჯდომარეს—ეს გარემოება ოქმში შეეტანა.

**ვექ. კლანკი.** თქვენ ბძანეთ, რომ მკვლელობის დღეს, რვა იანვარს, კნ. ბაბილინა განზრახ იბარებდა საავადმყოფოში თავის ქმარს: უნდოდა გზაში მკვლელები დახვედროდენ და მოეკლათო. ვინ გიამბოთ ყველა ეს საიდან იცით?

**თავ. ოთარ.** ეს ჩემი დასკვნაა.

**ვექ. კლანკი.** მოგეხსენებათ თუ არა, რომ თქვენი ძმის ობლები გაჭირვებაში არიან?

**თავ. ოთარ.** ვიცი.

— საერთო მამულში წილი აქვთ თუ არა. მემკვიდრენი არიან თუ არა?

— ჩვენი მამული უმაღლესის ბძანებით გაუყოფელია. იგი უფროსი ძმის განკარგულებაშია და ის აძლევს სარჩოს დანარჩენებს.

— თქვენ ხომ ახლა უფროსი ბძანდებით და რატომ არ ეხმარებით ობლებს.

— ვეხმარებოდი, მაგრამ მოვსპე, რადგან ფული დანიშნულებას არა ხმარდებოდა: ამ ფულით ნაირ-ნაირ საჭმელებს უგზავნიდენ ჰაუპტვახტაზე თავ. უჩა დადიანს.

**თავ. უჩა დადიანი.** გეხსომებათ ალბათ, მე და თქვენ გუბერნიის მარშალთან თავ. წერეთელთან რომ ვიყავით?

— მახსოვს.

— მაშ ისიც გეხსომებათ, რომ მე და განსვენებული ალექსანდრე იმ დროს კარგ განწყობილებაში ვიყავით.

— სამწუხაროთ, მართალია.

— რას ნიშნავს „სამწუხაროთ"?! მე თვითონ ძალიან ვსწუხვარ, რომ ლაპარაკი მიხდება თქვენთან. მიბძანეთ ერთი, საიდან აიღეთ, რომ მე ქართული ენა არ ვიცი?

— ასე მეგონა!

— ტყუილათ გგონებიათ. გარწმუნებთ თქვენზე ნაკლებ არ ვიცი ქართული ენა.

(შემდეგი იქნება).

## ღია წერილი

**ზუგდიდელს აქიმს ბ-ნს ი. ნ. მუჯირს.*)**

მოწყალეო ხელმწიფევ, დიდათ პატივცემულო ბ-ნო იასონ!

14 ეკენისთვეს ამა 1913 წ. ღ. ზუგდიდში ჩემის მოხსენების გათავების შემდეგ, საზოგადოების მცირე ნაწილმა შეიარა კლუბის დარბაზში; მალე მეც გამოვედი და შევერიე. ჩვეულებრივ გაცნობა-მოსალმების შემდეგ გაიმართა, ასე ვსთქვათ შინაურული საუბარი ილიას ცხოვრების შესახებ; ამ საუბრის დროს მე თქვენ შეგეკითხეთ: ბ-ნო იასონ, ნუთუ თქვენ შეგიძლიანთ მოუწონოთ „მოგზაურსა" და ფ. მახარაძეს, რომ დასწერეს,—ილია ჭავჭავაძე რუსის მთავრობის ოფიციალური ჯაშუშიაო? ამაზე თქვენ მიპასუხეთ: ეს ბრალდება ჯერ დაუმტკიცებელია, **ამას გამოკვლევა და შემოწმება უნდაო...**

ჩემს ხელმეორე შეკითხვაზე:—ნუთუ თქვენთვის საეჭვოა რომ ილია და ჯაშუშობა ორი ერთმანეთისათვის მიუკარებელი ცნებაა-მეთქი?—თქვენ ისევ გაიმეორეთ: ეს ბრალდება ჯერ დამტკიცებული არაა, ამას გამოკვლევა და შემოწმება უნდაო...

ამას შემდეგ მე თქვენთან ამ საგანზე კამათი შევწყვიტე და დღეს მოგმართავთ თქვენ, პატივცემულო აქიმო, ბ-ნო იასონ, ამ ღია წერილით და უმორჩილესად გთხოვთ საჯაროთ, გაზეთის ფურცლებზე დაადასტუროთ შაბათს 14 სეკტემბერს 1913 წ. თქვენ-მიერ ღ. ზუგდიდის კლუბის დარბაზში ნათქვამი სიტყვები, ე. ი. გაიმეოროთ სიტყვასიტყვით, რომ:

„ილია ჭავჭავაძის ჯაშუშობა ჯერ არაა გამოკვლეულ-შემოწმებული, ამას დამტკიცება უნდა".

ასეთ ფრაზაში ჩამოყალიბებული აზრი თქვენ გეკუთნის, შეიძლება მე მხოლოდ წინადადების რედაქციაში სადმე უნებლიეთ ვცდებოდე. ხოლო საერთოდ ამ სიტყვების უარყოფას თქვენის მხრით კი არ მოველი, ეს შეუძლებლათ მიმაჩნია, ვინაიდან ამისი მოწმენი იყვნენ: ზუგდიდის მომრიგებელი მოსამართლე ა. ს. ხაბურზანია; პროვიზორები: ალექსანდრე გაბუნია და ბ-ნი ნიჟარაძე; სასამართლოს ბოქაულები: ნიკო კ. ბერიძე და კალისტრატე კობახიძე; სცენის მოყვარე გრიგოლ თევზაია და სხვანი, რომელთა გვარებიც ვეღარ დავიხსომე.

**დიმიტრი ჯაში.**

*) ამ წერილის დასტამბვა არ ინება პატივცემულმა გაზეთ „სიმართლის ხმის" რედაქციამ და არც დაუსტამბველობის მიზეზი აგვიხსნა.

**დ. ჯ.**

## უცხოეთი

—

**ალბანეთის ამბები.** ალბანეთში ბრძოლის საქმის მდგომარეობა სერბიელთა სასარგებლოთ შეიცვალა. ალბანელები კიჩევასა და გოსტივარში დამარცხდნენ. დიდი ბრძოლა მოხდა მაღლობ ადგილზე მავროვის მახლობლათ. აქაც ალბანელები დამარცხდნენ და [illegible] ბრძოლის დროს ათას ალბანელს გარს შემოერტყნენ სერბიელები [illegible] წინადადება მისცეს, მაგრამ [illegible] სთქვეს და მაშინ სულ ამოხოცეს.

ევროპის პრესაში ბევრი იწერება იმის შესახებ, რომ ალბანელები ავსტრიის იარაღით არიან შეიარაღებულიო. ვენის ოფიციალურმა გაზეთებმა ამ ამბავს ასე უპასუხა, 5000 მაუზერის სისტემის იარაღი ალბანელებმა მიიღეს ოსმალეთის ვარდარიელთა ჯარისგან, 30 ათასიც მონასტირის, უსკიუბისა და კუმანოვოს არსენალებიდან მიიღეს.

ალბანეთში საქმეთა მდგომარეობა გამწვავდა. ყველგან არეულობა ხდება ალბანეთის დროებით მთავრობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის უთანხმოება სუფევს. ეს უთანხმოება ხანდახან იქამდი მიდის, რომ ერთმანეთს ხოცვენ და მთელს სოფლებსაც სწვავენ.

**მთაშავლები და მალისორები.** მთაშავეთის მთავრობის ცდამ, რომ მალისორებს შეთანხმებოდენ უნაყოფოთ ჩაიარა. აჯანყება ძლიერდება. გუსინიეს მახლობლათ შეტაკება მოხდა. მთაშავლები გაფანტეს. მათ წინააღმდეგ მთავრობა 10 ათას კაცს გამოიყვანს.

**იაპონია და ჩინეთი.** იაპონიასა და ჩინეთს შორის უთანხმოება მით დასრულდა, რომ ჩინეთმა გარდა ჩჯანის სამსახურიდან დათხოვნისა, იაპონიის ყველა მოთხოვნილება დააკმაყოფილა, იაპონია თხოულობს—ნანკინში იაპონელთა დაზარალებული ოჯახების სასარგებლოთ მილიონზე მეტს იღებს. მთავრობის პოლიტიკით ჩინეთის მიმართ ხალხი უკმაყოფილო დარჩა. ამ ნიადაგზე განზრახულია მოახდინონ ტერორისტული აქტი. დაიჭირეს ტაკენი, რომელსაც ბრალათ ედება საგარეო საქმეთა მინისტრის მოკვლის განზრახვა.

**ჩინეთი.** მუკდენიდან ცნობაა—სამხრეთ ჩინეთში რევოლუციონერთა დასჯა გძელდებაო. ამ მოკლე ხანში კანტონში 11 კაცი დასაჯეს, უჩანში კი 38. ჩინეთის მთავრობამ გადაწყვიტა შენსი, განსუსა და მანჯურიაში მყოფი ჯარი მონგოლეთს გაგზავნოს.

## რაჭა.

—

ს. ხვანჭკარა. ხვანჭკარის საზოგადოება შესდგება ოთხი სოფლისაგან ® შეიცავს დაახლოებით 600 კომლამდი. პურ-ღვინის მოსავლითა და განსაკუთრებით ბუნებითი კარგი ღვინის თვისებით ნაქებია (ვის არ გაუგონია საყიფიანოს ღვინის ქება?) მაგრამ წელს დიდი გვალვის გამო ბედმა უმუხთლა და ძალიან ნაკლები მოსავალი იყო.

სეკტემბრის პირველმა რიცხვებმა აქაც გამოაღვიძა გლეხობა, ყველა შკოლისაკენ მიარბენიებდა შვილებს, მაგრამ, საუბედუროთ, ალაგი არსად იყო, რადგან ერთი მასწავლებელი ვერ აუდის ამდენ მოწაფეს. 74 მოწაფე დღესაც ყავს მასწავლებელს და ამის გარდა შკოლის გარეთ დარჩენილია 100 მეტი სწავლის მოსურნე. აქაური ერთკლასიანი სასწავლებელი ორ კლასიანათ კეთდება რომლის შენობისთვისაც საჯარო ვაჭრობა იქნება 26 ამ თვეს ხვანჭკრის სასოფლო სამართველოში. 15 ამა სეკტემბერს იყო ამ საზოგადოების კრილობა, სადაც აირჩიეს შკოლის მზრუნველები. მზრუნველებმა იმ დღესავე მიმართეს მაზრის უფროსს, რათა მან იშუამდგომლოს დირექციაში მეორე მასწავლებლის გამოგზავნისთვის, რომ შკოლის გარეთ არ დარჩეს სწავლის ამდენი მოსურნე. მაზრის უფროსის შუამდგომლობით თხოვნა დირეკტორს წარედგინა და ბ. დირექტორმა კი ინსპექტორს მიანდო საქმე. დღეს, როდესაც მზათა გვაქვს სასწავლებლის და მასწავლებლის ბინა, იმედია ბ. ინსპექტორიც შევა ისეც დაჩაგრული გლეხების მდგომარეობაში და ამ თავით მეორე მასწავლებელს ვედირსებით სახელმწიფო ჯამაგირით და ამწვარზე მდუღარეს აღარ დაგვისხამს.

**ამ. დოლიძე.**

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელის ძმ—ბის ქუთაისში.

აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთი რომელიც პირდაპირ მწარმოებელისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით.

სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთზე გასულ წელთან შედარებით ფასები დაუკლო.

ახლად მიღებულია რანცები (რანსუმი) მოწაფეებისთვის და ძლიერ დაკლებულ ფასებში რჩევნ მავაქცევ მოწაფეების ყურადღებას ახლად გამოცემულ მოწაფეებისთვის „დღიური" „Дневникъ" რომელიც სრულიად დააკმაყოფილებს მოწაფის მოთხოვნილებასა და შედარებით იაფ ფასათ იყიდება.

## დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში. ფ. ს. ფილიპოვისა. ალექსანდრეს ქუჩაზე

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაკზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მცირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის ფასი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.


## ფ ო თ ი.

შაბათს, 21 ამა სეკტემბერს ქ. ფოთში ვლ. ალექსი-მესხიშვილის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის საიუბილეო დღესასწაული—საღამო გადაიხადეს. დღესასწაულის დაწყება დანიშნული იყო ახლად აშენებულ თეატრ „კომეტაში" საღამოს 9 საათზე, მაგრამ დღესასწაული მხოლოდ მეთერთმეტე საათზე დაიწყო.

ფოთელებისგან მესხიშვილის საიუბილეო დღესასწაულის უკეთესად მოწყობას მოველოდით. შემოვიდა დარბაზში მესხიშვილი, ხალხი ტაშის კვრითა და „ვაშას" ძახილით მ ეგება. სცენაზე მესხიშვილი გამოიყვანეს მასწავლებლებმა გაგუამ და აბაშიძემ და ფოთის ქალაქის საბჭოს წევრმა ს. ხოშტარიამ. ირგვლივ გამწკრივებულიყო ფოთის ქალ-ვაჟ მომღერალთა გუნდი ბ. ა. მეგრელიძის ლოტბარობით, რომელმაც ამ დღისთვის საგანგებოთ დაწერილი ბ. მეგრელიძის მიერ კანტატა „მრავალ-ჟამიერ" უმღერეს. გიმნაზიის მასწავლებელმა ბ. აბაშიძემ გრძნობიერი სიტყვა უთხრა, მაგრამ მეტად სხაპა-სხუპით ამბობდა. შემდეგ მომღერალთა გუნდის სახელით სიტყვა წაუკითხა ბ. მეგრელიძემ და გუნდის სურათი მიართვა. მეტათ მოხდენილი და გულის სიღრმეში ჩამწვდენი ლექსი წაიკითხა ბ. ანტ. ჟღენტმა სცენის მოყვარეთა სახელით. ლოლუას ქალის პროფესიონალური შკოლის სახელით ერთმა მოწაფე ქალმა მოკლე სიტყვა უთხრა და საჩუქარი მიართვა. ერთმა მუშამ მუშების სახელით ადრესი წაიკითხა, ერთობ მკრთალად და ბოლოს თავის დაკვრის მაგიერათ, რუსული „ჩესტი" გაუკეთა ბ. მესხიშვილს. ორმა ახალგაზდამ კიდევ წაუკითხეს თავისი ლექსები. შემდეგ გაიმართა წარმოდგენა იუბილარის მონაწილეობით. წარმოადგენეს სამ. მოქმ. დრამა „შეშლილია" უმთავრეს როლს ასრულებდა თვით ბ. მესხიშვილი. მისი ცოლისას—ლოშხის ქალი, ამის დის ნელის ნორაკიძისა, მომრიგებელი მოსამართლის ბ. კანდელაკი და სხვ. მესხიშვილის თამაშზე ლაპარაკიც მეტია. კარგი იყო ნორაკიძის ქალი. მხიარულ როლებს კარგათ ასრულებს. ბ. კანდელაკს სასცენოთ ხმა არ უვარგა, დიქცია. ლოშხის ქალიც სუსტი იყო. დღესასწაული ღამის მეორე საათზე დასრულდა. უნდა დავსძინოთ, რო მთელ დარბაზში და ქანდარზე ხალხის ტევა არ იყო, მაგრამ უსინათლობის მიზეზით თითქმის ნახევარი უბილეთოდ ყოფილა.

უგზოუკვლო.

## ბურცევის ახალი გამოაშკარავება.

იმ ღია წერილში, რომელიც მიმართული იყო „ადამიანის უფლებათა ლიგის" თავჯდომარის პრესანსესადმი ბურცევი ამბობს, რომ ივლისში 1910 წელს აზეფისა და გარტინგის ამბების გამოაშკარავებას შემდეგ, ჟორესის შეკითხვაზე მინისტრმა კლემანსომ დეპუტატთა პალატაში განაცხადა:—რუსის პოლიტიკური პოლიცია პარიზში გაუქმდაო, მაგრამ ბურცევს მოყავს უტყუარი საბუთები იმის დასამტკიცებლათ, რომ ასეთი პოლიტიკური პოლიცია არათუ ძველებურათ დარჩა, არამედ გარტინგის მემკვიდრეებმა უფრო ფართოდ მოაწყეს და შეადგინეს შავი კაბინეტი. თავის წერილში ბურცევი ჩამოთვლის ჯაშუშების სახელსა და მათ ადრესს. საინტერესოა აღინიშნოს, რო მომქმედ ჯაშუშთა შორის კვლავ არის ვეისმანი, რომელიც ცხოვრობს ნიცაში, რამდენიმე სასჯელი მოიხადა და რომლის საგმირონი საქმენიც თავის დროზე გამოცხადებული იყო ჟურნალ-გაზეთებში.

თავის ჟურნალ „ბულუშჩეე"-ში ბურცევი აშკარავებს სიმფეროპოლისა და იალტის დუმბაძეებზე თავდასხმის ამბავს ნოვიკოვის სახლიდან. ისეთი პირის ჩვენებით, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ ტერორისტულ აქტებში, ბურცევი აცხადებს, რომ ორივე თავდასხმა მოახდინეს რევოლუციონერებმა, რომელნიც გამოგზავნილი იყვნენ პეტერბურგიდან აზეფის მიერ ტ რომელიც ხელმძღვანელობდა ამ საქმეს. ბურცევი ამ ჟურნალშივე აშკარავებს სასამართლოს შეცთომას, რომელმაც უკანონოთ დასაჯა სოც.-რევოლუციონერი როგალსკი, რომ ვითომ მას მონაწილეობა მიეღოს საერთაშორისო კომერციული ბანკის ადესის განყოფილებიდან ფულის ექსპროპრიაციის საქმეში. და ესეთი შეცთომა ჩაიდინა სასამართლომ მაშინ, როცა არც თვით დირექტორს განკისას, არც დანარჩენ სხვა მოსამსახურეებს როგალსკი არ უცვნიათ იმ პირათ, რომელმაც ექსპროპრაცია მოახდინა. როგალსკი დასაჯეს მარტო იმიტო, რო მის ხელში ამოჩდა გირავნობის რამდენიმე ფურცელი, რომელიც გაეტაცათ ექსპროპრიაციის დროს. რამდენიმე პირის ჩვენებით ბურცევს ამის შესახებ გაუგია შემდეგი: ექსპროპრიაცია მოუხდენია პროვოკატორს ზაფარიდის, რომელიც ამავე დროს მსახურობდა ოხრანაში. როგალსკისთვის კი ეს საგირაო ფურცლები გადაუცია იმ პირს, რომელმაც ეს ცნობა უამბო ბურცევს. როგალსკიზე მთავრობას უჩვენა აზეფმა, რათა ნამდვილი დამნაშავენი დაემალოთ.

## მ ი კ ვ ი რ ს!..

აგერ რამდენი ხანია გაზ. „სიმართლის ხმაში" და მის წინამოძმეებში საპროტესტო წერილები იბეჭდება „იმერეთის", „სახალხო გაზეთისა" და „თემის" წინაალმდეგ. მე არ მოვყვები იმის ახსნა-განმარტებას, თუ რამ გამოიწვია ეს პროტესტები და ან რა მნიშვნელობა აქვს მას; მხოლოდ მიკვირს ერთი რამ: გაზ. „განთიადის" 2-ე №-ში დაბეჭდილია საპროტესტო წერილი, რაზეც ხელს აწერს ქუთაისში მომუშავე ასოთ-ამწყობები და მათთან ერთად მეც ვარ (?) გამოცხადებული. როცა ეს დავინახე, გამაკვირვა, თუ საიდან იქნა გამოცხადებული საპროტესტო წერილში ჩემი სახელ გვარი, როცა მე არაოდეს ხსენებულ გაზეთებისთვის არავითარი პროტესტი არ გამომიცხადებია და სწორეთ საპროტესტო წერილის დაბეჭდვის დროსაც ბათომში ვცხოვრობდი. ამის შესახებ ჩემი სიმართლის აღსადგენათ ღია წერილით მივმართე გაზ. „სიმართლის ხმის" რედაქციასა და ვსთხოვე გამოეცხადებია გაზეთში—საპროტესტო წერილზე ხელმოწერილი ან. ხელაძე მე (ანტონ ხელაძე) ვიყავი თუ ანდრია ხელაძე იყო. ასეთი წერილის დაბეჭდვის შესახებ რედაქციამ უარი მიყო და საბუთად ის მოიყვანა, რომ „განთიადში" „თქვენი სახელ გვარი არ სწერია, იქ არის ა. ხ—ძე, რაც ანდრია ხელაძეს ნიშნავსო და სხ"... მეც ამის მეტი არა მითხოვია რა. თუ ანდრია იყო, ანდრია დაებეჭდათ და თუ ანტონი—ანტონი. მხოლოდ მაკვირვებს რედაქციის ასეთი მოქმედება და მეტი არაფერი. რანაირი რედაქციაც უნდა ყოფილიყო ამ შემთხვევაში მას ზნეობა დაავალებდა ასეთი წერილი დაებეჭდა, სიმართლე აღედგინა და მართალი კაცისთვის ჩირქი არ მოეცხო საზოგადოების თვალში. მაგრამ როცა მეფენი მეფობენ, მაშინ ხომ მათაც აქვთ ამის უფლება და დე იმეფონ! მხოლოდ მე კი ვაცხადებ ყველას საყურადღებოთ, რომ არასოდეს არ მომიწერია ხელი ვისმე წინააღმდეგ და არც მოვაწერ ისეთი ჩაძახებით, როგორც ეს დღეს „სიმართლის ხმაში" ხდება.

ასოთ-ამწყობი ანტონ ხელაძე.

რედაკ.-გამომცემელი გრ. ერ. ჭელიძე.

## რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის.

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.

**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.

**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.

**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.

**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ.

ქუთაისს მოდის.

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 წ. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. საღ.; სახ. 1 ს. 26 წ ღამით.

**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20წ. დღ.; სახ. 11 ს. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; სახ. 7 საათ. დილ-

**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1 ს. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.

**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. 11 საათ. 9 წ. დილ.


## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავლის თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.

ამერიკული ვაზის სანერგე „კლდე ქვიშური" ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ამგოტო, 8000 რისლინი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გომე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო"-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და საჭმელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე ძმ. ვოკიელის სახლში ვ. ტიეგო.



## КУРСЫ кройки и шитья для дамъ и дѣвицъ. | ПРІЕМЪ заказовъ на элегантные дамскіе наряды

## M-me МАРИ

На-сколько важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что спеціальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМІЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможность: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомъ и 2) зарабатывать вдвойнѣ—путемъ преподованія курсовъ и пріема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтную практику заграницей и въ столичныхъ городахъ Россіи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленныя газетныя благодарности, какія систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого, до начала занятій остается немного. Поспѣшите записаться на курсы. Кандидатки сверхъ комплекта приниматься не будутъ.

Тутъ же при курсахъ открыта мною спеціальная мастерская для пріема заказовъ исключительно на элегантные наряды, отличающіеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угожденіе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это—нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно—изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.

*Адресъ* Кутаисъ, 1-ая Алексанoровская улица, домъ Бокерія противъ бульвара.

Съ почтеніемъ **M-me МАРИ**.



## ამ შემოდგომაზე ჭურებისთვის და გჭირდებათ

## საუკეთესო ცემენტი,

რომელიც შეგიძლიათ იშოვოთ მხოლოდ

**ძმ. ე. და პ. საკაშვილების სავაჭროში**

**ქუთაისში** პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი. იქვე იყიდება: სახლის საღებავი მასალები, შპალიერი, კარისა და სარკმლის მოწყობილება და სხვა მრავალი საქონელი.



## სამკურნალო აბანო

ხრესილი

მცირფასი მთის ძირზე

ძმ. ყორყოლაძეების

ექიმის თვალ-ყურის დევნებით.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თბილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.



## გ. გორდაძისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაგ-მალცევის ბემსკის მინის ქარხნის, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"

## რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან მიღებული რკინეული

საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილება, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

**ვაჭრობა პარტიათა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.**

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.